სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/457

ქ. რუსთავი 8 მაისი 2013 წელი

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კახა ბარათაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ვიდეოსკოპი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვალერი ოდიკაძე სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“. „კვირა“, „თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 „მხარე“ - „შემსყიდველი“ ან/და „მიმწოდებელი“.

1.7 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ფოტო, ვიდეო და აუდიო აპარატურის შეძენა (CPV 32300000).

2.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა მოცემულია დანართ №1–ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **10 000** (ათი ათასი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 საქონლის მიღება განხორციელდება შესაბამისი მიწოდებული საქონლის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერენ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის პრესსამსახურის უფროსი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შპს „ვიდეოსკოპი“–ს წარმომადგენელი.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;
- „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;
- „მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. რუსთავი კოსტავას გამზირი №20.

6.2 საქონლის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

შემსყიდველი მიმწოდებელი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის სრულ და ჯეროვნად მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში;

ბ) მოწოდებულ საქონელზე უნდა ვრცელდებოდეს მინიმუმ 1 (ერთი) წლიანი გარანტია.

გ) ქარხნული წუნის (დეფექტის) შემთხვევაში „მიმწოდებულმა" უნდა უზრუნველყოს არნიშნული დეფექტური საქონლის შეცვლა საკუთარი სახსრებით „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

დ) მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი (გამოუყენებელი).

ე) საგარანტიო მომსახურების აუცილებლობის შემთხვევაში, ტექნიკის ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის პრესსამსახური (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების **0,5%**-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შეუსრულებელი ვალდებულების **5%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია [illegible] მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქ რუსთავი მის:რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი №216433287 სს „ლიბერთი ბანკი" ბ/კ №LBRTGE22 ა/ა № GE78LB0125148543037000	შპს „ვიდეოსკოპი" მის: ქ.თბილისი, ძოწენიძის ქ. №4ა საიდენტიფიკაციო კოდი №205072026 სს "საქართველოს ბანკი" ბ/კ №BAGAGE22 ა/ა №GE78BG0000000183419700

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე:

გაბა ბარათაშვილი

შპს „ვიდეოსკოპი"-ს დირექტორი:

ვალერი ოდიკაძე

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: ნინუცა კორძაია

დანართი №1

№	აღწერილობა	მოდელი	რა-ბა	ფასი ლარი (ერთეული)	ფასი ლარი (საერთო)
1	ვიდეოკამერა	Sony HXR-NX30P	1	4150	4150
2	შტატივი	Libec Th-650	1	485	485
3	სამკერდე რადიომიკროფონი	Sennheiser EW112PG3	1	1325	1325
4	აკუმულატორი	Sony NP-FV100	1	250	250
5	კამერის განათება აკუმულატორის სამაგრით, აკუმულატორით	DLOB-ML+DLOBM-BS+ DLB-NPF550	1	1315	1315
6	აკუმულატორის დამტენი	DLCH-NPF	1	80	80
7	მეხსიერების ბარათი 32გბ	Velbatim	1	45	45
8	ბარათის წამკითხველი		1	20	20
9	ობიექტივი ფოტოკამერისთვის	Nikon 70-300mm	1	1050	1050
10	განათება ფოტოკამერისთვის	Nikon SB-910	1	1280	1280
		სულ ჯამი			10 000

* საქართველო. შპს "ვიდეოსკოპი" * GEORGIA. "VIDEOSCOPE" LTD * 205072026

№01/457 ხელშეკრულებაში

ცვლილება №1

ქ. რუსთავი 12 ივნისი 2013 წელი

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კახა ბარათაშვილის სახით და

მეორეს მხრივ შპს „ვიდეოსკოპი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ვალერი ოდიკაძეს სახით

შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება შემდეგზე:

1. 2013 წლის 8 მაისს დადებულ №01/457 ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება „მიმწოდებლის" საბანკო რეკვიზიტებში და ნაცვლად ა/ა № GE78BG0000000183419700–სა დაფიქსირდეს ა/ა №GE41BG0000000183419700.
2. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საფუძველი: თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ადმინისტრაციის 2013 წლის 10 ივნისის წერილი №1539/1.
3. ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა, რომელსაც არ შეხებია წინამდებარე ცვლილება, რჩება უცვლელად.
4. ცვლილება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის მომენტიდან და წარმოადგენს თვითმმართველ ქალაქ რუსთავსა და შპს „ვიდეოსკოპი"-ს შორის 2013 წლის 8 მაისს დადებული №01/457 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი მის: ქ.რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი № 216433287 სს „ლიბერთი ბანკი" ბ/კ № LBRTGE22 ა /ა № GE78LB0125148543037000	შპს „ვიდეოსკოპი" მის: ქ.თბილისი, ძოწენიძის ქ. №4ა საიდენტიფიკაციო კოდი №205072026 სს "საქართველოს ბანკი" ბ/კ №BAGAGE22 ა/ა №GE41BG0000000183419700
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	შპს „ვიდეოსკოპი"-ს დირექტორი
კახა ბარათაშვილი	*ვალერი ოდიკაძე*